

07.00.00 ისტორიული მეცნიერებანი HISTORICAL SCIENCES

დავით მალაზონია

სიბრძნე მისი ქართული საისტორიო წყაროების შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინტერესი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისადმი, შეიძლება ითქვას, საყოველთაო გახდა. ფართო ვაქანება პოვა ჩვენი წარსულის აღდგენის ცდებმა. გარდა ისტორიკოსებისა, ამ საშვილიშვილო საქმეში აქტიურად ჩაებნენ განმანათლებლებელი მოძრაობის მესვეურნი. მათ საქარისი ღვაწლი დასდეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას, კერძოდ, მისი დაწინაურებისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას.

ისტორიული მეცნიერების განვითარებას ჩვენში სათანადო წყაროების ნაკლებობა, არსებულის შეუსწავლელობა აფერხებდა.

ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ცნობილი ქართველი მოღვაწეები ისტორიული გამოკვლევისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფასაც თავის სისხლხორცეულ საქმედ თვლიდნენ.

ამ მოღვაწეთა შორის იყო ცნობილი პუბლიცისტი სერგეი მესხი, რომელსაც საქართველოში მნიშვნელობის გადაუღებელ საქმედ მიაჩნდა საისტორიო წყაროების გამდიდრება მათი მოძიებისა და თავმოყრის გზით, და არსებული წყაროების შესწავლა, მათი მნიშვნელობის განსაზღვრა. იგი ფიქრობდა, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო ისტორიული მეცნიერების განვითარება.

ს.მესხი ისტორიის ერთ-ერთ საყურადღებო წყაროდ თვლიდა ხალხურ შემოქმედებას, ძველ გადმოცემებს, რომლებიც, მისი რწმენით, არცთუ იშვიათად შეიცავენ წარსულში მომხდარ მოვლენათა ანარეკლს. ფოლკლორულ მასალას დიდი სიფრთხილით უნდა მიდგომა, რადგან იგი, პირველ რიგში, მხატვრულ-შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფია, და არა ისტორიული ძეგლი: „ამგვარ ამბებს ყოველთვის რომელიმე საფუძველი აქვს. ხშირად იმაში იხატება ნამდვილი ისტორიული მოვლენა და ფაქტი. მაგრამ შეუცვლელად ამგვარი გმირული ამბები და ისტორიული მოთხრობანი თითქმის ვერასოდეს ვერ გადავა ერთი შთამომავლობიდან მეორეს ხელში. ხალხის ოცნება და წარმოდგენა უთუოდ ცოტას რასმე მიუმატებს მამებისაგან გაგონილ ამბებს, ცოტას გააზვიადებს. . .“ [4]. ეს აზრი აბსოლუტურად სწორია.

ხალხურ გადმოცემებში დაცული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე უშორესი წარსულის კვლევას ეხება, რადგან მისი ამსახველი სხვა წყაროები არ მოგვეპოვება. ხალხურ თხზულებათა ფრთხილი ანალიზის შედეგად გარკვეული წარმოდგენა გვექმნება შორეული პერიოდების საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, კულტურული განვითარების დონესა და თავისებურებებზე.

ამიტომ ს.მესხს გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა ხალხური ნაწარმოებების მოძიება, ჩაწერა და შეკრება: - „ამისათვის უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვინც ამისთანა „ძველებური ამბები“ იცის. . . რომ შემდეგი შთამომავლობისათვის ნუ დაკარგავენ, გვიანბონ რაც იციან, მოგვითხრონ მამა-პაპათა ცხოვრება“ [4].

სერგეი მესხი, მეცნიერებისათვის გამოსადეგ ინფორმაციასთან ერთად, მოზარდი თაობის ღირსეული აღზრდის საფუძვლებსაც ეძებდა ფოლკლორში: სიმამაცეს, ჭირთა თმენას, საქვეყნო საქმის ერთგულებას, ერის ერთიანობის იდეასა და სხვ: „კარგათ თუ ავათ ამგვარ გადმოცემებში ჩვენი წინაპრების ზნეობითი მხარე, ვაჟკაცობა, სულგრძელობა და, ერთი სიტყვით, იმათი ცხოვრება და ხასიათი იხატება. იხატება ისეთი თვისებანი ძველი მართველობისა, რომლის წყალობითაც ერთი მუჭა ხალხი ურიცხვ მტერს გამაგრებია, რომელშიაც სჩანს ძმური დახმარება გაჭირვებაში, სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულება, დამოუკიდებლობის სიყვარული“ [4].

თერგდალეულებმა მართლაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ფოლკლორული მასალების შეგროვების საქმეს. იჭავჭავაძემ წამოაყენა მათი შეკრებისა და დამუშავების საპროგრამო ღებულებები, რამაც დადებითი გავლენა იქონია წამოწყებული საქმის მსვლელობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური სიტყვიერების შეგროვებას გასული საუკუნის პირველ ნახევარშიც მისდევდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: პლ. იოსელიანი,

დრუბინაშვილი, რ. ერისთავი და სხვები. ამ თაობის წარმომადგენელი ისტორიკოსი ს. ბარათაშვილი აღნიშნავდა, რომ თვით დაუჯერებელი ზღაპრული თქმულებებიც შეიცავენ „ტექნიკურების მცირედ კვალს“ [1].

ს. მესხი არ იფარგლება ხალხური შემოქმედების ჩაწერის მოთხოვნით, იგი საჭიროდ თვლის ხანდაზმულ ადამიანთა იმ მოგონებების ფიქსირებასაც, რომლებიც მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება, და მიაჩნია, რომ ეს მოგონებები საგრძნობლად შეავსებს ჩვენს ცოდნას გარკვეული პერიოდების შესახებ [7].

საისტორიო წყაროთა შორის, რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა წერილობითი ცნობების შესწავლას ეკისრებოდა. ს. მესხს სწორად მიაჩნდა, რომ ნარატიული და დოკუმენტური წყაროების, სხვა სახის წერილობითი ძეგლების (მათ შორის – ლიტერატურის) შეუსწავლელად შეუძლებელი იყო სრულფასოვანი ისტორიული გამოკვლევების შექმნა.

წერილობითი ძეგლების ღირებულებას განსაკუთრებით ზრდიდა არქეოლოგიური მასალის სიმწირე. დ. ბაქრაძის მართებული თქმით „არხეოლოგია ჯერეთ შეჩერებულია უფრო ვეროპის ნიადაგზე და ზოგიერთს აზიის ადგილებზე“ [2, 4].

წერილობითი მასალების შეგროვებაც, რომ არაფერი ვთქვათ მათ დამუშავებასა და მეცნიერულ ანალიზზე, ურთულეს ამოცანებს აყენებდა ქართველი ისტორიკოსებისა თუ ისტორიით დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

ბევრი მათგანი გაფანტული იყო კერძო პირთა არქივებსა და ეკლესია-მონასტრების საცავებში: „რამდენი ჩვენი ისტორიული ცხოვრების შესახებ ქაღალდები და მიწერ-მოწერა იპოვებიან თურმე დეპუტატების კრებისა, სინოდის კანტორისა და სხვა სასამართლოების არხივებში; ვინ იცის რამდენი ჩვენი წარსული ცხოვრების გასაცნობათ ძვირფასი დოკუმენტები და ცნობებია ამ არქივში გაფანტული, ვის არ გაუგონია, რომ დადიანს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩაო? ვინ არ იცის, რომ თ. ალექსანდრე წერეთელს, საჩხერეში, აუარებელი ძველი ქართული წიგნები უწყევია თურმე ზანდუკებში? ახლა მონასტრებში, საზოგადოებაში, კერძო პირების ხელში – რამდენი ძვირფასი მასალები მოიპოვება“ [3].

ს. მესხი წერილობითი წყაროების მიმართაც ფრთხილ, კრიტიკულ მიდგომას მოითხოვდა, რადგან ავტორები (განსაკუთრებით – ნარატიული წყაროებისა) ხშირად ტენდენციურად აღწერდნენ მოვლენებს.

საყურადღებოა ისიც, რომ მესხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პერიოდიკის შესწავლასაც, რომელშიც საკმაოდ ბევრი მონაცემები ფიქსირდება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან.

სერგეი მესხის გულისტკივილს იწვევდა ის, რომ ისტორიული მნიშვნელობის წერილობითსა და სხვა ძეგლებს, გაბნეულსა და აღურიცხველს, განადგურების საფრთხე ემუქრებოდა: „ისე ვიქცევით, – წერდა ს. მესხი, – თითქო გესურს, რომ არც შემდეგს ჩვენს შთამომავლობას დარჩეს ღონის-ძიება ჩვენი წარსული ცხოვრების მაგალითებით გამხსნევებისა და გაცოცხლებისა; თითქო განგებ ვსპობთ, ვანადგურებთ ყველა იმ ისტორიულ მასალას, რომელიც ჩვენი წარსული ცხოვრების გამოსაკვლევათ ძვირფას საუნჯეს შეადგენენ. . . და ყველა ამას ჩავდივართ მაშინ, როდესაც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თითქმის ყოველ ძეგლებურ ხელნაწერს, ყოველ ნივთს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. . .“ [4].

არანაკლებ სავალალო იყო ისიც, რომ ამ ძეგლების შეგროვებით ზოგჯერ დილეტანტები, კერძო კოლექციონერები ინტერესდებოდნენ: „ქართულ ძველ წიგნებსა და ნივთებს ამ უკანასკნელ დროს იმდენი პატრონი და დამსაკუთრებელი აღმოუჩნდა, რომ ჩვენ გვეშინიან არ დაგვკარგოთ ისინი. . .“ – მიუთითებდა იგი [5].

ამიტომ ს. მესხი, სხვა გამორჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მოითხოვდა მუზეუმის დაარსებას, სადაც „შეგროვდება როგორც ძველი ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ძვირფასი ნივთები, ძველი ტანისამოსები, იარაღი და სხვა“ [5].

ქართველი საზოგადოების ძალისხმევით მალე მართლაც გაიხსნა „საეკლესიო მუზეუმი“ (1888), რომლის თანამშრომლებმაც მრავალი ძვირფასი განძი გადაარჩინეს განადგურებას.

მუზეუმის მნიშვნელობის შესახებ ილია წერდა: „თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავაოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ცხლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მიიზიდოს როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადგეობითა“ [6]. საამისოდ მართლაც მასშტაბური სამუშაოები იყო ჩასატარებელი, რასაც შესანიშნავად გაუძღვნენ

მუზეუმის შემქმნელები (დ.ბაქრაძე, მოგვიანებით – თ.ჯორდანი, მ.ჯანაშვილი, კ.ცინცაძე და სხვები).

ძველ ხელნაწერთა შეგროვების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეობა, რომლის ბიბლიოთეკაც თანდათან მდიდრდებოდა კერძო პირთა შემოწირულობებით.

თერგდალეულებმა უზარმაზარი შრომა გასწიეს საქართველოს ისტორიის წყაროების შესაგროვებლად, რითაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ქვეყანაში ისტორიული მეცნიერების წინსვლა, შექმნეს მისი განვითარების მყარი საფუძველი.

სერგეი მესხისაც, სხვა თერგდალეულებთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ს. საქართველოს ისტორია. რგ.1, 1895.
2. ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე. რგ.1, 1881.
3. მესხი ს. თხზულებანი. ტ.1, 1961.
4. მესხი ს. თხზულებანი. ტ.2, 1963.
5. მესხი ს. თხზულებანი. ტ.3, 1964.
6. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული. ტ.2, 1950. „დროება“. 1883, №21.